ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 70. 30 მარტი, კვირა. 1866—1880 30 მარტი, კვირა. № 70.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**
აჯენიზმელოვის, ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლორთქიფანიძის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**
მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ - „Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონში ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და გამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

**გორი**, 28 მარტს. თავად-აზნაურთა კრებამ გარდასწყვიტა დღეს, რომ ხიზნებს არენდით მიაქირავონ თავიანთი მამულები, ე. ი. იმავე პირობით, რა პირობითაც არენდატორები ქირაობენ ხოლმე. კრებაში უწესოება მოხდა; საქმე კინაღამ ხანჯლამდის მივარდა. ჩვენის უეზდის წინამძღოლს თ. ამირ. ამილახვარს ჩინებულად ეჭირა თავი, მშვენიერად თავმჯდომარეობდა. დაწვრილებით ამხავს წერილით გაცნობებთ.

(ხალხთა მორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 28 მარტს. ინგლისის ღენერალი რობერტსი, გაზ. „პეტერბურღის უწყებების“ სიტყვით, საშინლად დაამარცხეს ავღანიელებმა. ტყუილი ხმა არის, ვითომც ჩინეთის ჯარების რუსის სამზღვარზე გადმოვიდნენო; ქვემო-ასურის მაზრაში ჩვენს სამზღვარზე მხოლოთ ჩინეთის მუშები გადმოვიდნენ.

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ მთავრობამ პირველი გაფრთხილება გამოუცხადა გაზეთს „მოლვას“.

„გოლოსში“ იწერებიან: ჩინეთის და იაპონიის ზღვებში გაგზავნილი იქნება ბევრი რუსის სამხედრო ხომალდები.

პეტერბურღში დაიჭირეს ერთი ვინმე კურიერი, რომელიც როგორც აღმოჩნდა, დიდ მალ ყალბ პასპორტებს აკეთებდა. კურიერის ცოლის კავშირი ჰქონდა რევოლიუციონერებთან ავეთ 92,000 მანეთ უნახეს.

## „სკოლის ხარჯის“ მოხმარება

ტფილისი, 29 მარტს.

ერთი ორიოდე სიტყვა კიდევ უნდა მოგახსენოთ ქართლის თავად-აზნაურობის გარდაწყვეტილების თაობაზედ. ჯერ არ ვიცით ნამდვილად თუ რამდენი შედგება იმ ხარჯიდამ, რომელიც უკისრია თავად-აზნაურობას სწავლა-განათლების სასარგებლოდ, არც ის თუ რა გვარად იქმნება განაწილებული ეს ხარჯი ყველა აზნაურთ შორის. გარდა ამისა არ ვიცით აგრეთვე არც ის—თუ როგორ უნდა იყოს მოხმარებული ეს ფული გორის თავად-აზნაურობის აზრით. მაგრამ, რაც უნდა იყოს, მეტი არ იქნება მივაქციოთ საზოგადოების ყურადღება, სხვათა შორის, ერთ საგანზედ, რომლისკენაც, ჩვენის აზრით, ყველაზედ უწინარეს უნდა იქმნეს მიმართული თავად-აზნაურობის შველა.

ტფილისში არსებობს, როგორც მოგეხსენებათ, თავად-აზნაურთა შკოლა, რომელიც ამზადებს ბავშვებს სხვა და სხვა გიმნაზიებში შესასვლელად. ეს დანიშნულობა შკოლისა, რასაკვირველია, კარგი და პატიოსანია და ფრიად სასარგებლოც, მაგრამ მაინც სრულიად საკმარისი არ არის იმ უმთავრეს სენის მოსასპობლად, რომელიც აუცილებლივ მოსდევს აწინდელ სწავლა-განათლების მოწყობილობას ჩვენში. ჯერ ერთი ესა, რომ იმდენი გიმნაზია არ არის ჩვენში, რომ სწავლის მოწადინენი ყველანი დააკმაყოფილოს. გარდა ამისა აწინდელ გიმნაზიებში სწავლა თავიდამ ბოლომდე სწარმოებს რუსულს ენაზედ, ახლად მიბარებულ ბავშვისათვის სრულიად გაუგებარზედ. ახლად დაარსებული შკოლა თავად-აზნაურობისა ცოტად თუ ბევრად ებრძვის ამ უკანასკნელ სენს; მაგრამ საქმე ის არის, რომ მაინც მარტო მოსამზადებელი შკოლა იმდენად ვერ ასწავლის და ვერ შეაჩვევს რუსულს ენას, რომ დანარჩენის სწავლის მიღება რუსულს ენაზედ თვალსაჩინოდ გაუადვილოს ბავშვს და მით ცოტად თუ ბევრად თანასწორ ჰყოს რუსის ბავშვთან.

ყველა ამის გამო ფრიად საჭიროა მოსამზადებელი კლასის გარდა გახსნილ იქმნეს შემდეგი კლასებიც. ტფილისის თავად-აზნაურთა შკოლა არის მხოლოდ თესლი ამ გვარ სასწავლებლისა,—თესლი, რომელსაც შესაფერი ხელის შეწყობა უჭირს, რათა მოგვიტანოს ყველა ქართველებისათვის სანატრელი ნაყოფი. ამისათვის საჭიროა, რასაკვირველია, პირველად ფული. ეს ფული ჩვენის აზრით მოხმარებულ უნდა იყოს ყველაზედ უწინარეს ამ შკოლაზედ, რომელსაც, რასაკვირველია, მრავალი რამ უჭირს მკვიდრად დადგენისათვის. აი თუნდ, მაგალითებრ, ავიღოთ სახლის უქონლობა საკუთრივ შკოლისათვის. საკუთარი სახლი, ჯეროვანად მოწყობილი სასწავლებლისათვის, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ახლა ჩვენთვის. რა თქმა უნდა, რომ შკოლამ რო თავისი საკუთარი სახლი აიშენოს და მისთვის ერთბაშად დახარჯოს ბლომად ფული, ბევრს სარგებლობას და ყაირათს გასწევს შემდეგში. არც იმაზედ არის საჭირო ლაპარაკი, რომ შკოლის სახლის ხეირიანად მომართვას სრულიად განსაკუთრებული პირობები უჭირს გიგიენისა და არხიტექტურის მხრით.

## ახალი ამბები

ზოგიერთს პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვსო, რომ ადგილების მცხოვრებლებს, რომელთაც ცეცხლის, პირუტყვის ჭირისა, ცუდი მოსავლისაგან ზარალი მიეცათ, სახელმწიფო ხარჯის გარდახდა რამდენიმე წლით ადროვონ.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ყოვლად სანატრელი და ჩინებული განკარგულება იქნება მთავრობის მხრით. რუსეთის სხვა გუბერნიების ხალხზე არას ვამბობთ, ჩვენი ქვეყნის ხალხი ისეთს მდგომარეობაში არის ამ ჟამად თუ შარშანდელის და აწ მოსალოდნელის კალიის წყალობით, თუ წრევანდელის ზამთრისა და სიძვირის გამო, რომ ახლა იმას სახაზინო ხარჯის გარდახდა თითქმის სრულიად არ შეუძლია და თუ ძალად გარდაახდევინეს, უეჭველია, ეს ხალხის დაღუპვა იქნება. ამიტომაც კეთილ-გონიერება

## ფელეტონი

### საკვირაო საუბარი

გაზაფხული და წარსული ზამთარი.—მძიმე დრო ძველის ლექსით.—მომავალის ფიქრი.—ქალაქის ვაჭრობა და გულ-კეთილობა გაცრუებული.—სოფლის ყოფა უცრუვლად.—გზის მებნა და პოვნა ქართველებისაგან.—ქართული ლექცია.

გაგვიზაფხულდა. აი ეს ერთი კვირაა, სიცივისაგან პატარა სულები მოვიბრუნეთ ამ ქალაქელებმა. წეროც თავს გადაგვიათფრინდა, მერცხალიც ცით-ოროლათ გაჩნდა, შაშვის სტვენა გაისმა...

გათავდა ეს გაუთავებელი მყინვარე ზამთარი. დიდმა შესაწუხარმა სიცივემ გაიარა.

წარსული წელიწადები მეტის-მეტი შესანიშნავი წელიწადები იყო... სიძვირე, ნაკლებობა ყველა ხორაგეულობისა, მკალია, საქონლის ჭირი, ადამიანის ავათმყოფობა სახადითა და მჭვლითა, კოტრობა,—ერთის სიტყვით რომელი ერთი მოვიგონოთ. ჩვენი გაზეთების წერილები სავსე იყო და არის ამ ამბებითა.

დიდი ხანია, ძალიან დიდი ხანი, რომ ამისთანა გაჭირებული დრო არ შეხვედრია ჩვენს ქვეყანასა. ამ ასიოდე წლის წინათ და უფროც ადრე (ვახტანგ მეფის დროს) შეხვდა საქართველოს ამისთანა დრო. ეს დრო დავით გურამიშვილს მშვენივრად აქვს გამოხატული თავის ლექსებში:

შეიქნა დიდი მტერობა,
 თქმა ერთმანეთის ძვირისა;
ამპარტავნობა და შური,
 ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა,
 გზებზე დასხდომა მზირისა;
ტყვეობა, მოკვლა, დაჩაგვრა
 ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!...
ცა რისხვით შუა განიპის
 ქვეყანა შეიძროისა;
ვენახთ უწვიმის სეტყვანი
 მსგავსნი ნახეთქის ლოდისა.
მკალია დასცის ყანებსა,
 ქარი უქროდის ოდოშსა!...
მოუგის დიდი სიყმილი,
 შემუსრის ძალი პურისა;
ალარვინ იყვის ღვინითა
 ალმავსებელი ჭურისა,
შემცირდის ხართა ნახნავი,
 მოსწყდის ნაწველი ფურისა...
შეცრად მეხთა დაცემა,
 იყვის ელვა და ქუხილი,
ნამი არ გასტყვრის, გოლევამან
 მოწვის ბალახი თუ ხილი...
გამოუვლინის ნადირნი,
 მჭამელი კაცთა ხორცისა.
მოთხარის მკვდარნი საფლავით,
 ცოცხალიც ბევრი ჰხოცისა.
დედ-მამათ შვილნი სალხინო
 წამზე საჭირაჲა მოსცისა...
მერე დაერია:
 უცხო უწყალო სენები
ჰხოცნა კაცნი და პირუტყვნი,
 ცხვარნი, ძროხა და ცხენები.
ქალაქ შეაყენა; მახვილთა
 სისხლით ალიესო ხევნები...
ვაი იმ დღისა დამსწრებსა:
 აწ სათქმელათაც ძნელია
ქაცთაგან თვისი ავგი
 საზარლად საუბნელია...

***

წავიდა ზამთარი და გაგვიზაფხულდა. გავთბით; სიცივე დაგვავიწყდება მალე, მაგრამ სხვა რაც გვაწუხებდა, ისიც გაივლის, თუ ჯერ კიდევ დიდხანს გაიწევს?

***

პირველი ჩვენი ნაღველი კალიაა, ყველა შევყურებთ და გული-ძგერით ველით სრულად გამოდარებას და კალიის თესლიდამ გამოსვლის დროსა; წახდა თესლი თუ გამოვა, და თუ გამოვა, ხალხი ეცდება გაწყვეტას? ერთის სიტყვით გადარჩება ამ გაზაფ-

მოითხოვს, რომ სახაზინო ხარჯი რამდენიმე წლით ადროვონ, სანამ უკეთეს მოსავალს ელირსებიან.

* * *

არხეოლოგების კრება, რომელიც მომავალ 1881 იქნება თფილისში უმთავრესს ყურადღებას კავკასიის არხეოლოგიას მიაქცევს. კრების საპატიო თავსმჯდომარეობის მოვალეობა დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა თავის თავზე იკისრა, რომელმანც ამასთანავე კეთილ ინება კრებისათვის თხოვება თავის სასახლის ზალებისა.

* * *

ბათუმიდამ გვატყობინებენ, რომ ამ მარტის 23-ს იქაურ სცენის მოყვარეებს „რუსეთის“ სასტუმროში გაუმართავს ქართული წარმოდგენა. შთამაშნიათ „მეც შენი მაჭანკალი“ და ვ. აბაშიძის ვოდევილი „ცოლი თუ ვინდათ ეს არის!“ შემოსავალი დამშეულების სასარგებლოდ ყოფილა. კორრესპონდენტი გვწერს, რომ წარმოდგენა ძალიან კარგათ წავიდაო, განსაკუთრებით ჩინებულად ითამაშეს ბ.ბ. ბარხუდარიანმა, მჭედლიშვილმა, ქართველოვმა და ბარხუდარიანის ქალმაო. ხალხი ბლომათ დასწრებია.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ერთს ვისმე გარდაუთარგმნია ქართულად პოტეხინის ჩინებული კომედია „**Отрѣзанный ломоть**“.

* * *

დღეს იწყება აქაურს საზაფხულო თეატრში წარმოდგენები ახლად ჩამოსულის რუსის ოპერის ტრუპპისა.

* * *

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი ანგარიში ქუთაისის ქართულ სცენის მოყვარეთა წარმოდგენის შემოსავალ-გასავლისა.

„ქუთაისელთ სცენის მოყვარულთ მიერ „ქორ-ოღლის“ წარმოდგენა 22 მიმდინარე მარტს.

ამ წარმოდგენისათვის, ბატ. ხარაზიშვილის თეატრის ადგილების მიხედვით, გამზადებულ იქმნენ სულ 505 მან. და რამოდენიმე კაპ.

შემოვიდა:

გაყიდულ იქმნენ ბილეთები სულ — — — 236 მ. და 70 კ.

აქედამ ზოგთა მოთამაშეთა ისარგებლეს მუქთი ბილეთებით თვისთა მახლობელთათვის — — — — 20 მ. და 55 კ.

მაშასადამე შემოვიდა ვარაუდად — — — — 216 მ. 15 კ.

დაიხარჯა:

ბატ. ხარაზაშვილის თეატრის ქირად ზალის მორთულობით და განათებით — 30 მან.

ტანისამოსის ქირად — 22 მან.

რუსულ მესაკრავეებს — 14 მან.

მოჭიანურეს და ერთს მოსიმღერეს — — — — 12 მან. (მეორემ არ მიიღო არც მის მიერ ნაქირავების ტანსაცმლის ქირა და არცა სხვა რამ სასყიდელი).

ტელეგრამმა (ორ გზის) გორს და სურამს პასუხით — 2 მ. 25 კ.

მესტამბეს აფიშების და ბილეთების დასაბეჭდათ (ძისი ქაღალდით) — — — 11 მ 30 კ.

პარიკ-მახერს — — — 6 მან.

აფიშის დამრიგებელთა და ამკვრელთა, პოლიციის დაბალთა მოსამსახურეთა და თეატრის ფარეშთა — — 8 მან.

ხალების, ჩუშტებ-ქოშების, სხვა და სხვა წვრილმანების ქირად და სხვა და სხვა წვრილმანი რამეების სასყიდლად — — — — 9 მ. 10 კ.

სულ დაიხარჯა 114 მ. 65 კ.

ნაღდი დარჩა — — — 101 მ. 50 კ.

ამ ფულის ნახევარი მიეცა ერთს ღარიბს ოჯახს და მის მიღებაზე გვაქვს ბათილა (კვიტანცია); ხოლო მეორე ნახევარი გადადებულ იქმნა ერთის ნიჭიერის და თან ღარიბის უმაღლესს სასწავლებელში მოსწავლისათვის, რომელსაც ეს ნახევარი წმინდა შემოსავლის გადაეცემა მალე, თუ მას სხვა რამ საშუალების წყარო ჯერ არ მოუპოვნია, რაზედაც თვით იგივე, რა საკვირველია, დაუფარავად გამოაცხადებს.

ქუთაისელთ სცენის მოყვარულთა ხაზინადარი.

ბესარიონ ღოსაბერიძე.

## იმერეთის ეპარხიის სამღვდელო დეპუტატების შეკრებილება ქუთაისში

(დასასრული *)

როგორი კენჭის-ყრა არის ეს? რას ჰგავს უფლება? მეც რომ არაფერი ვსთქვა, ყველა უნდა მიხვდეს ვგონებ, რომ ამისთანა უფლების მინიჭებას, რომ სულ არ მიენიჭებიათ, თითქმის ის ჯობდა. იქნება იფიქროს ვინმემ, რომ სხვა-და-სხვა ზედამხედველების ხშირად გამორჩევას ცუდი გავლენა ექმნება სასწავლებელზე სწავლის მხრით. თუ ამას ჰფიქრობს ვინმე, ძლიერ მოტყუებული იქმნება. თუ ზედამხედველი კარგი გამოდგა იმას მეორეთაც და მესამეთაც აღირჩევენ და თუ სასარგებლო კაცი არ იქმნა და ვნება მოუტანა სასწავლებელს, მაშინ ხომ მისი დარჩენა ამ თანამდებობაზედ სავნებელე იქმნება. რატომ არ უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ ამისთანა სამსახურის ვადის განუსაღვრელობას ცუდი გავლენა ექმნება კაცის ხასიათზე...

გვეტყვიან: სამღვდელოებას აქვს უფლება განცხადებული საჩივარი შეიტანოს სასწავლებლის ზედამხედველის ცუდ მოქმედებაზედ ადგილობრივ ეპისკოპოსთანაო. ამის უფლება, მართალია, აქვთ სამღვდელოების დეპუტატებს, მაგრამ ამასთანავე ფიცხლად აქვსთ აღკრძალული, რომ კენჭისყრით არ გამოაცხადონ თავისი აზრი ზედამხედველის უვარგისობაზე.

იტყვიან ამასაც, რომ მათ უშვრებიან რევიზიას და თუ ცუდი რამე შენიშნეს, არ მოუთმენენ და დაითხოვენო. ესეები მართალია, მაგრამ ცხოვრებაში, საქმით, ნამდვილად ეს ერთობ ძნელად აღსასრულებელია...

ყველა მღვდელს და დეპუტატს ჰყავს თითქმის შვილი სასწავლებელში და რომელმა მამამ უნდა გაბედოს ზედამხედველზე საჩივრის შეტანა, როდესაც რომელიმე მისი შვილი იმ სასწავლებელში სწავლობს?

გამოვიდნენ, ვთქვათ, მოთმინებიდგან და იჩივლეს. რა გამოვიდა საჩივრიდგან? დაუნიშნენ რევიზორს. მოვა სასწავლებელში. რადგან ზედამხედველი შეიტყობს რევიზორის მოსვლას წინ-და-წინ ყველაფერს იმის სასიამოვნოთ დაამზადებს. ყველაფერი სასწავლებელში გამოიცვლება, და მომჩივნები გამტყუნდებიან და ზედამხედველი მართალი დარჩება. ამის დასამტკიცებლად მე მოვიყვან აქ ერთ მაგალითს.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს სამი წლის განმავლობაში შენიშნეს სამღვდელოებამ, რომ რიგიანად არ მიჰყავდა საქმე. 1876 წელს დეპუტატებმა შეიტანეს განცხადებული საჩივარი მასზე და ითხოვეს კომმისიის დანიშვნა გამოძიების მოხდენისათვის. გამოძიების მაგიერ დაინიშნა რევიზორი ბატ. ხოტოცკი თფ. სემინარიის მასწავლებელი. მოვიდა და ერთად ასე უბედურ მიცვალებულ ასათიანთან არჩევდნენ — თუ როგორ წაეყვანა საქმე რევიზიისა. ერთ კვირას იქით მოუწოდა სასწავლებლის სამართველოს წევრებს და ჩამოართვა ჩვენება. ზოგ მოწმეებს, ყველას გასაკვირვლად, ფიცით ჰკითხა, თუმცა ამის უფლება არ ჰქონდა მინიჭებული, მაგრამ არც ეს ჩვენებაები აქვს მას საქმეში. შემდეგ დაჰკრა ფეხი და წავიდა თფილისში. ნაცვლად მისა, რომ ადგილობრივ გამოეკვლია საქმე, წაეყვანებია პირში მომჩივნები და მოპასუხენი, წაეკითხა მათთვის ერთი მეორის ჩვენება და ეგებინებია პასუხი, ის

*) „დროება“ № 69.

ხულს ჩვენი სარჩო პური, თუ არა; ქართლ-კახეთი მერმის შიმშილს ნახავს, და ამასთან ყოველ მწუხარებას და საცოდაობას, თუ ასცდება?

აი ამ ზამთრის გასვლაზე და გაზაფხულის დამდეგზე რა ფიქრები გვაწვება ყველას დიდით-პატარამდის. ვაჭრობა, აღებ-მიცემა ქალაქებისაც კი ამას შეჰყურებს, სამსახურის კაციც, მდიდარიც და ქონების პატრონიცა.

სიძვირემ ყველა წელში მოხარა და კინწი მოსწყვიტა.

* * *

აი ჩვენს ქალაქში ვაჭრები დიდის-პატარამდის დუქნებში სხედან და ჩივიან. ზოგი გაკოტრდა, ზოგი აპირებს გაკოტრებას, ზოგი შეძლებული ჰკეტავს დუქანსა და ვაჭრობაზე ხელს იღებს.

— მინდა მაღაზია დავკეტოვო.

— რათა, რათა ჰკეტავთ? ჰკითხვენ.

— მინდა, რომ წვრილმა ვაჭრებმა ნახონ ხეირი, მე ისე პარტიობით ვაჭრობაც მეყოფა.

რა შვილია. სხვის ხეირისთვის მაღაზიებსა ჰკეტავს! საქმე ის არის, რომ დიდ ვაჭრებს ჩვენ ქალაქში ადათადა აქვთ მაღაზიების გამართვა, ოჯახებს ეს დუქან-მაღაზიები უძღვება. სხვა მოგება ჯიბეში ნაღდათა რჩებათ. ახლა რაკი დუქანი თითონ დუქნის ხარჯსაც არა ჰფარავს, ოჯახის ფასს რაღაზე დაფარავს და აი ჰკეტავს დუქნებსა და მაღაზიებსა. ხალხში კი იძახის: მინდა სხვამ ნახოს ხეირიო!

* * *

ახლა მოაყოლეს ქალაქელმა ვაჭრებმა და აღდგომის კვირის მსგავსად საქონლის იაფად გასყიდვა გამოაცხადეს, ვითამ და მუშტარი მოგვატყდესო. მაგრამ შენც არ მამიკვდე, ვერც ამან უშველოს. ხალხმა ეს სიცრუე დიდი ხანია გაიგო და ისე აღარ ებმის ამ გამოცხადებულ ბადეშია. ამ დალოცვილ ვაჭრებს ზოგჯერ დავთრები ეკარგებად, რა იყო მოეცადნათ აღდგომის კვირა, იაფობის კვირა დამდგარიყო.

მსუნაგივით სწორეთ შუა მარხვაში იწყებენ გაიაფებასა. იაფობის კვირა ხომ დაეკარგებათ. შიმისოთაც ჩივიან, სააღდგომო მუშტარი წრეულს აღარა სჩანსო. ზაფხულში (ზაფხული ყოველთვის დუქნის ვაჭრობის ცუდი დროა) უფრო ვაჭრობა გვქონდა, ვიდრე ამ ზამთარს არისო და ახლა ამ სააღდგომოთა ჩანსო. წავიდა ხეირიო!

* * *

ვაჭრობის ხეირი წავიდა; მართლა დიდ ხანამდის წავიდა, თუ ოთხიოდ-ხუთიოდე წლის ვადითა, ეს გამოჩნდება? მაგრამ აქლემი ისე არ დაეცემა, რომ ვირის საპალნე არა ზიდოს. ქალაქის ვაჭრობა დაეცემა, მაგრამ კიდევ ვაი-ვაგლახით იჩარჩებს; თქვენ სოფლის ხალხი თქვით, რამ უნდა მოანაცვლევინოს ხელი. თავად-აზნაურობა და გლეხობა არის ვაი-ვაგლახში და ღმერთმა იცის იმისი ცხოვრების ამბავი. ვისაც რამ ჰქონდა, შესჭამა, ვისაც გიდარჩა, მალე შეშჭამს, და ვინც ცარიელია, აბა იმისი ყოფაა საქმე. რას გააკეთებს, რას იმუშავებს, რომ იმუშავებს, რას მოიგებს. ცოლ-შვილს რით არჩენს? არ იცის, გზა და კვალი ვერ გაურკვევია, გზის მაჩვენებელს მეზობელს არა ხედავს, ჰკუა ისწავლოს და თვალი გაახილოს.

* * *

ამ გაჭირების დროს ვეძებთ შემწეველსა კაცებში, მეზობლებში, ჩვენი იარების მომრჩენლად ხან ერთი გვეგულება, ხან მეორე და ხან იმედით ვლოცავთ, ხან წყევით ვქოლავთ. საქმე კი სულ სხვაა.

ჩვენ ჯერ კარგა არ გვესმის, რომ ყოველი ჩვენი წარმატებისა ან უკან დარჩენის მიზეზი მარტო კაცები არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიდა ქალაქში და ქალაქიდამ ართმევდა ჩვენებას ზოგიერთ პირებს! ვის გაგიგონიათ, რომ გამომძიებელი ერთ ქალაქში იჯდეს და მომჩივანი და მოპასუხე კიმეორეში?!

Იქნება სთქვას ვინმემ, რომ ესერთეული შემთხვევა არისო და ამისგან არ შეიძლება გამოიყვანოს კაცმა დასკვნა, რომ ყველა რევიზორები ასე იქცეოდნენო. მართალია, მაგრამ გაბედვით შემიძლია ვსთქვა, რომ ძლიერ ძნელად მოხდება ხოლმე იმისთანა რევიზორის მოსვლა, რომელიც რიგიანად მოახდენს რევიზიას.

მაგრამ სამღვდელოება რევიზორებზე ბევრათ უწინ ტყობულობს ზედამხედველების სიცუდეს და სივარგეს. Ამისათვის სამღვდელოებას რომ უფლება ჰქონდეს ვადის შემდეგ ხელახალი კენჭის-ყრის მოხდენისა ზედამხედველის დანიშვნაზე, რასაკვირველია, კარგი იქნება. მაშინ ზედამხედველებიც უმეტესად ეცდებიან კარგად წაიყვანონ საქმე და არა ისე, როგორც ეხლა მიჰყავსთ.

რაც ვსთქვით, ცხადათ ამტკიცებს, რომ ის უფლება, რომელიც მინიჭებული აქვსთ სამღვდელოებას ზედამხედვლის ამორჩევაზე, ბევრად არაფრათ არ ღირს და დიდი მნიშვნელობა არა გვექნება, სანამ სამსახურის ვადა არ ექმნება განსაზღვრული ზედამხედველებს და თუ ნება არ მიეცა სამღვდელოებას ვადის შემდეგ ხელახალი კენჭის-ყრისა. სასულიერო სასწავლებლის წესდებას ბევრი ნაკლულევანება აქვს და რიგია გადახედონ და შეავსონ.

სოფლის მღვდელი.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ

Ბატ. რედაქტორო! Ვიჩქარი ვაცნობო რედაქციას ნამდვილი ამბავი, როგორც საქმის ახლოს მყოფმა, მნახველმა და შემტყობმა, იმ საზარელის მკვლელობის შესახებ, რომელიც ზემო-Იმერეთის სოფ. რგანში მოხდა და რომელიც ასე უკუღმართად შეუტყობინებია ვიღაცას თქვენთვის.

Ნარიმან სამხარაძე თორმეტ-ცამეტი წლის ყმაწვილი მოკლეს დაურწყების შაბათ ღამეს ნაჯახით, მძინარი ლოგინში. Ამას ამტკიცებს ის, რომ ერთი დაკვრით პირ-და-პირ კისერი აქვს ღრმად ჩაჭრილი სასულემდის პირ-აღმა მწოლს, ასე რომ სისხლი ზევით ჭერს აქვს მისხმული საცა იწვა, იმის პირ-და-პირ.

Ეს საწყალი ბიჭი და მისი რძალი დიდის ხნით ერთმანეთზე გადამტერებული იყო და კიდევაც, როგორც მისი ქმარი—ბათლომე სამხარაძე ამბობს, ბევრჯერ ყელის გამოჭრას დაემუქრა, თუ არ მომაცილეო ეს შენი ძმაო. ქმარმა ცუდი საქციელი შენიშნა ცოლს და დაადებინა სოფლის სასამართლოში პირობა, და არა ქავთალაძეს, როგორც ვიღაცას უცნობებია რედაქციისათვის. Ერთი პატარა ბიჭი მეზობლისა, Ივანე ქავთელაძე, რომელიც ქრმისაგან ყოფა-ქცევის ყარაულათ დატოვებული ჰყავდა, ქალმა გააგდო სახლიდამ.

ქმარი რომ Ტფილისს ეგულებოდა, მეორე დილას, კვირეს, ამ ქალმა თავის მეზობლები ჩამოიარა, ერდგან სისხლით გასვრილი ხელები და ტანისამოსი ჩამოირეცხა და ზოგიერთებს უამბო, წუხელის ორმა უცნობმა ნარიმანი მომიკლესო.

Ამ გვარივე ჩვენება მისცა სოფლის სამმართველოსაც. მესამე დღეს პრისტავი რომ მოვიდა, ქალმა გამოაცხადა, რომ მამი ჩემის უკითხავად ვერას ვიტყვიო. მამის შეგონების შემდეგ გამოცვალა ჩვენება და სთქვა: მკვლელი ვიცანიო და მიუთითა თავის მამის მტერს ქავთელაძეს, რომელსაც სუდიაობაში და ხელოსნობაშიდაც ბევრი ეწყენინებია იმისთვის და გადაემტერებინა.

Ახლა გამოკითხვით აღმოჩნდა ბევრი რამ ამ ქალის საქციელი და საბრალო პატარა მაზლთან მეტად შეძულებული დამოკიდებულობა და მიზეზებიც, რომლის გამოკვლევა გამოძიების საქმეა. შეშინებული, რძლის მუქარით, უიმისოთ არ დაიძინებდა თურმე ის ყმაწვილი, რომ პატარა მოლესილი ნაჯახი თავით არ დაედვა; ეს ნაჯახი ახლა დაიკარგა სადღაც. Გარდა ამისა ვიღაც გადმოხვეწილების მუშები მარგანეცისა სოფელში ბევრს ოჯახში დაწუწკავენ და ასე უპატრონო და თავ-აშვებულ ქალთან უფრო იკეთებენ გზას. Ეს შეწამებული ქავთელაძე ამ მარგანეცის მაძებარ ხალხს ძალიან სძულს, რადგან თავისი მარგანეციანი მამული არც მიჰყიდა და არც უთავაზა.

Თუ საჭირო იქნება, საბუთებით დავამტკიცებ ყველა აქ ნათქვამს.

Ეს საქმე ღირსია ფიცხელი და გულ-მოდგინე გამოძიებისა, რომელიც ჯერ არ ღირსებია; სახლიც არ გაუჩხრეკიათ, სადაც მკვლელობა მოხდა და ან სადაც ქალი წავიდა იმ დილას მამისას და მეზობლებისას. მოვიდა პრისტავი, ქალს ჰკითხა, კაცი დაიჭირა და წაიყვანა. Ამის მეტი არც არაფერი გამოუჩხრეკია და არც გამოუკითხავს, მხოლოდ პირში კი წაუყენა კაცი ქალს, მაგრამ უკანასკნელს ენა ჩაუარდა და მერმე მამამ აჩვენა მის მაგიერათ.

ს. Ჯ.

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

**ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.** Ალჟირიიდამ უკანასკნელად მიღებულის ცნობებიდამ სჩანს, რომ დიდი ხანია რაც მაროკკოს მოსამზღვრე სამხრეთის მაზრებში ხალხს შფოთვა ეტყობოდაო. Ახლა რუფერის ოლქის მცხოვრებთ არაბთა ტომებში მზადდება ძლიერი აჯანყება საფრანგეთის მფლობელობის წინააღმდეგ. Აჯანყებულებს თურმე იმედი აქვთ მაროკკოსა და Ტუნის დახმარებისა.

„Არაბთა ტომების შიში თან-დათან კლებულობდა მას აქეთ, რაც Ალჟირიაში მოსპობილ იქმნა სამხედრო გამგეობა და მაგიერად თან-დათან შემოღებულ იქმნა Ალბერტ Გრევისაგან სამოქალაქო მმართებლობა.

Ალბერტ Გრევის და მხედართ მთავრის სისწრაფით გამგზავრება Ალჟირიაში ამ საქმის თაობაზე აღმაშფოთებელ ცნობების მიღებას უნდა მიეწეროს. მმართებლობა კი ცდილობს, შეძლების გვარად, საზოგადოებას დაუფაროს აჯანყების საშიშო მოვლენა.“

—

Ლიბერალების ერთმა წინამძღომელთაგანმა ლორდ Ჰარტინგტონმა Ბიკონსფილდის სამინისტროს პოლიტიკის გაკიცხვის დროს, სხვათა-შორის, წარმოსთქვა თუ რა რიგად მოიქცევა ლიბერალთა დასი, რომ იმის ხელში იყოს მმართველობა. Იგი ამტკიცებდა, რომ ლიბერალური მმართებლობა Ინგლისის ინტერესებს და პატივ-მოყვარეობას გადაუკვეთებელ Ოსმალეთის შეწევნის მიცემას და მისს დამოუკიდებლობის დაცვას არ შეუკავშირებს, და Ოსმალეთის მთავრობის მოპყრობას თავის ქვეშევრდომებისადმი არ დაუწყებდა ყურებას, როგორც მარტო რუსეთის და Ოსმალეთის ინტერესს. Იგი არ ეცდებოდა Ევროპის მშვიდობიანობის დარღვევას, არამედ მთელს თავის ქალ-ღონეს კეთილ განზრახულებათა ასრულებას მოანდომებდაო.

—

Საფრანგეთის Ოფიციალურს Გაზეთებში დაბეჭდილია მთავრობის განკარგულება კონგრეგაციების შესახებ. Იეზუიტთა ორდენის დაშლის შესახებ ამ განკარგულებაში ნათქვამია, რომ საქმე სრულიად იმის კერძო პირთა დევნაში არ მდგომარეობსო და არც სათვითოო უფლებათა შესახებ მცბიერ-განზრახულების ჰქონებაშიო, როგორც ბევრი ამტკიცებენო. საქმე იმაშია, რომ ნება-დაურ-

---

არიან, ბევრ-გვარი სხვა-და-სხვა გარემოებაც არის. Აქამდინ კარგა არ გვესმოდა და არც ახლა კარგა გვესმის.

მაგრამ გაზაფხულის დღეები გულში იმედს მიფხიზლებს, რომ ნელნელა გონების მიძინებისაგან უნდა გამოვიღეთ. ჩვენ მსწავლებლათ და აღმზრდელად გზის მჩვენებლათ ბოლოს უნდა მოვიწვიოთ ჩვენისავე ხარჯით და ბეგრით სწავლა-განათლება.

Გუშინდელმა Გორის ტელეგრამამ გვაცნობა, რომ ამ გზის მჩვენებლის მოწვევა განუზრახავს Ქართლის თავად-აზნაურობას.

* * *

Დიახ, დროა, დრო ჩვენი საქართველოს თავად-აზნაურობა თავის შვილების ზრუნვას შეუდგეს. ჩვენს სასწავლებლებში თუ სახელმწიფოთ, პანსიონერებს თუ ნახავთ თითო-ოროლს ყმაწვილს მოსწავლეს, თორემ სხვას აქ ნუ მოსძებნი. Ეს ფრიად დასაღონებელი საქმეა და ზრუნვა ვინ უნდა გასწიოს, თუ თითონ თავად-აზნაურობა არ იზრუნებს თავის შვილებისათვის.

Აი თუნდა მივხედოთ გლეხ-კაცობას. სოფლებში შკოლები გაიმართეს და კიდევ მართავენ, ხარჯს აძლევენ თავის შვილების სასწავლებლად. Ნუ თუ ეს მაგალითი ჩვენ თავად-აზნაურებს არ ეყოფათ?

Პირველი მაგალითი Ქართლის თავად-აზნაურობამ აჩვენა ჩვენს საქართველოს Ამერ-Იმერთა და თავისის ნებით ხარჯის გამოღებასა სდებს თავის შვილების გამოსაზდელათ. Ამ ცრუ აზრს ბოლო მოუღო, რომელიც ადრე ჩვენებურს კაცს ათქმევინებდა: „მე შვილი არა მყავს გამოსაზდელი, ან ჯერ პატარა მყავს, და ჩემთვის ხარჯის გამოღება რა საჭიროაო!“

Მადლობა ღმერთს, დღეს ორასმა კაცმა კრებაში ერთ-პირათ ეს საზიზღარი აზრი საუკუნოთ დამარხა და აღიარეს, რომ ხელმა ხელის დაბანა იცის და ორმა პირისაო. Კეთილი იყოს ქართლელების გადაწყვეტილება და სხვებსაც მიეღოსთ ეს მშვენიერი, სამაგალითო და საშვილი-შვილოდ დასახსოვებელი საქმე!

* * *

Ერთი კიდევ საგაზაფხულო ტკბილი სიტყვა. Დღეს, შაბათს აქაურს კლუბში Გიორგი Წერეთელი წაიკითხავს ქართულს ენაზე საკითხავს (ლექციას) საქართველოს ძველ დროებზედ.

Ეს პირველი შემთხვევაა ქართულად ლექციის კითხვისა. როგორიც უნდა იყოს, კეთილი იყოს. Ეს პირველი ნაბიჯი ბევრისათვის მისაბაძველი უნდა გახდეს.

ჩვენს ქალაქში სხვა-და-სხვა საზოგადოება ისე აჭრელებულია, რომ ბევრ-გვარი ლექციების კითხვა შეიძლება, ოღონდ კი ლექციის მკითხველი კაცი გამოჩნდეს. სასულიერო წოდების კაცებს, მღვდლებს, ბერებს შეუძლიათ სამღვთო, საეკკლესიო სწავლითგან საკითხავები გამართოს უწიგნო, გლეხ და ხელოსან კაცებისთვის, ექიმს საექიმო რჩევა, როგორც უწიგნო კაცისთვის, აგრეთვე ნასწავლებისთვის და სხვა-და-სხვა სწავლისა და მეცნიერების მცოდნეს ყოველთვის ადვილად შეუძლია პატარ-პატარა სახალხოთ გასაგები საკითხავები მოახერხოს. ქალაქის ხალხი, უწიგნო ხალხი მრავალია ქართულად მოლაპარაკე. Ნუ თუ სულ უმეცრებაში უნდა დავაგდოთ ეს ამოდენა მუშა, გლეხი და ხელოსანი ხალხი? Ბატონმა Წერეთელმა პირველი ნაბიჯი გვაჩვენა, სამართალი მოითხოვს ჩვენმა განათლებულებმა ქალაქში, ქუთაისში და სხვა ქალაქებშიაც მიჰბაძონ.

ანჩისხატელი.

თეელ საზოგადოებებს აღეკრძალებ:თ საჯაროდ იმისთანა მოქმედებანი, რომელნიც კანონებს ეწინააღმდეგებიან.

—

**ახირებული ანდერძი.** პარიჟში ერთმა პოლკოვნიკმა სიკვდილის დროს უანდერძა ქალაქს 60,000 ფრანკი შკოლის გასახსნელათ შემდეგი პირობით: 1) არც ერთ სასულიერო წოდების შეილ', არ შეეძლოს ამ შკოლაში შესვლა; 2) შკოლის სადგომის წინ გაკრული იყოს განცხადება სხვილი ასოებით, სადაც გამოცხადებული იქნება სახელი და გვარი შემწირველისა და ამასთან ისიც, რომ ეს კაცი დაიმარხა სამოქალაქო წესით (ე. ი. უმღვდლოთ).

ქალაქი რჩევამ უარ-ჰყო ამ პირობებით შეწირული ფულის მიღება.

* * *

**მოხერხებული ქურდობა.** ამას წინათ ერთი ქალი, ახალ-გაზდა და მდიდრულათ ჩაცმული, შევიდა პეტერბურღის ერთს ოქრო-მჭედლის მაღაზიაში, აარჩია ძვირ-ფასი თვალ-მარგალიტის ნივთები 10,000 მანეთისა და უთხრა ვაჭარს, რომ ჯერ ჩემს ქმარს უნდა ვაჩვენო ეს ნივთები და როცა ის მოეწონება, ფულს მაშინ მოგცემო. ვაჭრის კითხვაზედ, ქალმა თავის ქმრათ დაასახელა ერთი გამოჩენილი ექიმი.

ვაჭარმა ჩააწყო ნივთები კოლოფში და მისცა ქალს, ისიც თან ვაჰყვა იმას ქმართან. ქალმა ფაიტონი დააყენა საგიჟეთის კარებთან და უთხრა ვაჭარს:

— „თქვენ ცოტას ხანს აქ მოითმინეთ, მე შევალ და გავიგებ, ჩემი ქმარი აქ არის, თუ შინაო?“

ვაჭარი დათანხმდა. ქალი მიეიდა მორიგ-დოქტორთან და უთხრა:

— მე მოვიყვანე აქ ჩემი გიჟი ქმარი და გთხოვთ მიიღოთ საავათმყოფოში. იმას, სხვათა შორის, ის ცუდი ზნე სჭირს, რომ რაღაც ბრილიანტებზედ ლაპარაკობს, ათას თუმნებს იხსენიებს და სხვ. გთხოვთ მე დამითხოვოთ, რომ რაიმე უსიამოვნობა არ შემამთხვიოს; ხვალ ისევ გიახლებით სანახავათ. ეხლაც დიდის გასაჭირით მოვიყვანე აქ ფაიტონითა.

დოქტური თანახმა გაუხდა. ქალი წავიდა და ვაჭარი შემოიყვანეს საგიჟეთში.

— როგორ მოგეწონათ, ბატ. მკურნალო, თქვენი ცოლისგან არჩეული ნივთები! 10,000 მანეთი ძალიან მცირე ფასიც არის იმ მშვენიერი ნივთებისა. რასაკვირველია, თქვენ მოუწონებდით ნავაჭრს თქვენს მეუღლესა?!

ექიმი გააწყვეტინებს ლაპარაკს საეჭვო ავათ-მყოფს და აძლევს იმას სხვა-და-სხვა კითხვებს იმის სიგიჟის გასაგებათ. გაიმართება ერთი ახირებული ბაასი, რომელიც დაბოლოვდება იმითი, რომ ვაჭარს ძალათ დააწვენენ ოთახში, სადაც ის დარჩება რამოდენიმე ხანი, სანამ იმისი ნათესავები არ მოსძებნიან და არ აუხსნიან დოქტორებს ყოველივეს ცხადათ.

ის ქალი კი, რომელმანც ასე მშვენივრად შეასრულა თავისი როლი, დაიმალა სადღაც, იმისი ასავალ-დასავალი ეღარ გაიგეს.

---

# განცხადებანი

—

მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითების შუა,

## გალმანინი

(Гольманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის ვ. კარშინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

ვ. კარშინსკი.

(25—1)

---

ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ჩემმიერ არასოდეს არ გაცემულ არის არავისზე არაფითარი დოკუმენტი რომ ყოფილიყოს ნაწერი რუსულად; ამისათვის ვსთხოვ ყოველთა პირთა, ჩემთან საქმის მქონეთა, ამნაირი დოკუმენტები და ბარათები ჩემს სახელობაზედ არ მიიღოთ, რადგან იგი უეჭველად უსაფუძლო და ყალბი იქნება.

ბესარიონ მჭედლიშვილი.

(3—1)

---

**იყიდება ქ. გორში** ლუარსაბ მელიქსეთ-ბეგის ქვიტკირის სახლი, რომელიც შეიცავს ორს ოთახს დერეფანით, ქვეშ სარდაფით თავისის ეზოთი საბაღე ადგილით 400 კვადრატნი საჟენით და სარაიით.

**ფასის** შეტყობა შეიძლება გორში ალალო თუთაევთანა.

ლუარსაბ მელიქსეთბეგოვი.

(3—1).

---

თფ. გუბ. თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

## ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა, ბანკის წესდების § 83 ძალითა, სთხოვს უფალთ დამფუძნებელთა ამა ბანკისა, რომ მობრძანდნენ ჩვეულებრივ კრებაში ოც-და-ათს (30) აპრილს, 10 საათზე დილით, იმ სახლში, სადაც ეხლა ბანკია.

საგნები განხილვისა

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1879 წლისა.

2) დანიშნვა იმ ფულებისა, რომელიც ბანკის სარგებლობიდგან არის გადადებული საზოგადო საჭიროებისათვის.

3) აღმორჩევა ერთის წევრისა ბანკის მმართველობის რიგით თავადის დ. ი. ავალოვის მაგიერათ.

(7—1)

---

**ქუთაისსა და რიონის სტანციას შუა ვაგონში დაიკარგა** 12-ს ამა თვისას ხურჯინი. იმაში იყო შარვალი, პოლსაპოშკი, ნიფხავ-პერანგი და პირსახოცი, მასთან **კოპიოები და საბუთის ქაღალდი.** ჩემთვის საჭიროა მხოლოდ ქაღალდები.

**საჩუქრათ** ენიშნავ 25 **მანეთს,** ვინც იპოვნის.

მპოვნელს შეუძლია ქუთაისში „ბათუმის“ გასტინიცის პატრონს ზურაბ ბარძიმიშვილს მიუტანოს, რომლისგანაც მიიღებს დანიშნულს 25 მანეთს საჩუქარს.

თ. მანუჩარ ქორჩაძიძე.

(6—6)

---

**იყიდება არწრუნის ქარვასლაში** ინგლისის მაღაზიაში: პალტო 12 მანეთიდამ 24-მდინ, მთელი წყვილი ტანისამოსი 5-დამ 25-მდინ; ტრიკო, ბუმაზეია და პარუსინა ახლა 75 კაპ. არშინა და დრაპი 2 მანეთიდამ; პოდნოსები, გასალებები 10 კაპ., წყლის დასაწმენდი ქვები 4—40 მან., თოფები უკანიდამ გასატენი 35 მანეთი და მეტი; ჩულქები და წინდები 8 მან., უნაგირები—25 მანეთი და მეტი, 25,000 გირვანქა ჩაი პირ-დაპირ ჩიახტიდამ 1 მან. და 10 კაპ. და საუკეთესო 2 მან. გირვანქა, დიდძალი კრავატები 5 მანეთიდამ 75 მანეთამდინ; საუკეთესო ხერესი 1 მან. 40 კაპ., შამპანის ღვინო—3 მან. ბოთლი და სხვ.

(25—11)

---

სავაჭრო სახლი

## იაგორ კასუმოვი და ამხ.

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც 1 და 2 **შინაგანი სესხის ბილეთების** ყიდვა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს **ამხანაგობის** ავარ ჭან- მთ ტორაში, სადაც ეს ბილეთები კარგის პირობებით ისყიდება. მსყიდველს შეუძლიან ნაწილ-ნაწილად დრო-გამოშვებით შემოიტანოს კანტორაში ფული დაწერილებით პირობების შეტყობა თვითონ კანტორაში შეიძლება.

(10—10)

---

მაქვს **გასასყიდი ლაგოდეხში** კარგი აბანოზის **ფიცრები 300** ცალი, კარგათ საფარავში შანახული, თითქმის თხუთმეტ წელიწად წინ მომზადებული, ერთ ზომაზე დახერხილი; სიგრძე არის რვა არშინი, სისქე ორი ვერშოკი, ფიცრების ხევითა პირებსა პოლის ფიცრის სიგანე აქვსო.

მსურველთ შეუძლიანთ პირობებისა და დაფასებისა გამო წერილებით მოიკითხონ ამ ადრესით: **Уроч. Лагодехи. (Тифл. губ.) Вдовѣ Варварѣ Аслановой,** ანუ **Въ Сигнахъ. Александру Абрамовичу Серебрякіанцу.**

---

**გრ. ჩარკვიანის**

ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

**ღრამმატიკა**

მოკლე სქემა პირველის ნაწილისა ღრამმატიკისა, რომელიც აჩვენებს ყრმათა მაგალითს და ადვილად დანერგისათვის განყოფილებათა მათისა მოკლედ, რომლითაც უადვილესად შესაძლო ამის გულის-ხმის ყოფა გულთა შინა.

**შედგენილი თ. რაფ. ერისთვისაგან**

ფასი 20 კაპეიკი.

—

**„მოდი და ენდეთ ქალსა!“**

ვოდევილი ერთ მოქმედებად

მ. ჯორჯაძისა

თფილ. 1880 წელს. ფასი 20 კაპ.

—

**„ქვრივის ლიმონები“**

მოთხრ. გრ. რჩეულოვისა

გამოც. დავ. ბერიძისაგან

თფილ., 1880 წელს. ფასი 10 კაპ.

—

**„სარიდონიანი“**

პოემა, გამოც. ქ. ჩარექოვისაგან

თფილ. ფასი 30 კაპ.

—

საქართველოს მეფე

**„ბაგრატ მეოთხე“**

თხზ. დიმ. ბაქრაძისა

—

**„სისხლის ძიება“**

პოემა ჩერქეზების ცხოვრებიდან

ალ. დეკანოზოვისა

Дозволено цензурою. Тифлисъ 29 Марта 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი